



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000050764609421

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 15

02 / ივნისი / 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“-ს მე-2 მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტარულად

თამარ ყვინიშვილი

ინფორმაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში 2021 წლისთვის დაგეგმილი საპროექტო წინადადებების შესახებ
(დანართი)

N	მუნიციპალიტეტი	2021 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	სულ პროექტის სავარაუდო ღირებულება	მათ შორის		შენიშვნა
					ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	რეგ.ფონდი	
1	ახმეტა	ქ. ახმეტაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (9 ერთული)	საცხოვრებელი სახლი	282,000.0	-	282,000.0	
2	ახმეტა	ქ. ახმეტაში კახეთის ქუჩის რეაბილიტაცია	გზა	320,000.0	-	320,000.0	
3	ახმეტა	ქ. ახმეტაში ლეონიდის 1-ელ შესახვევში საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა	გზა	100,000.0	-	100,000.0	
4	ახმეტა	სოფელ აწყურის შემოსასვლელში ტროტუარების მოწყობა	გზა	100,000.0	-	100,000.0	
5	ახმეტა	სოფელ არაშენდაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გზა	270,000.0	-	270,000.0	
6	ახმეტა	სოფელ ხორხელში(იმერლიანთუბანში) მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გზა	850,000.0	-	850,000.0	
		სულ ჯამი:		1,922,000		1,922,000	